

ღავით მერკვილაძე**ღავით ბარეჯელი და ღავით შალეველი**

მას შემდეგ, რაც კ. კეკელიძემ ასურელი მამები ბიზანტიის იმპერიის აზიურ პროვინციებში, და მათ შორის სირიაში, მონოფიზიტთა ღვენის შედეგად საქართველოში სხვადასხვა დროს დაბრუნებულ მონოფიზიტ ქართველებად წარმოაჩინა [იხ. 5], ეს ვერსია თავისებურად შეავსო შ. ნუცუბიძემ. მან ასურელ მამებში პეტრე იბერის მიერ სირიაში დაარსებული რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის ქართველი წარმომადგენლები დაინახა, რომელნიც, მისი აზრით, ამ 'სირიული ქართული სკოლის' გაუქმების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულან. 'ქართველები სირიიდან' – ასე უწოდებს ამ მოღვაწეებს ავტორი [10:126].

შ. ნუცუბიძე თავისებურად განიხილავს ასურელ მამათა რელიგიურ მრწამსსაც: ამ მოღვაწეთა 'დამოკიდებულება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებთან არაა ნათელი', მაგრამ როგორც პეტრე იბერის მოწაფეებს, 'მათ ერთნაირად შეეძლოთ ორივე ქრისტოლოგიურ მიმდინარეობასთან მშვიდობიანი დამოკიდებულება' [10:133], რამეთუ 'ქრისტოლოგი-ნეოპლატონიკოსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც დიოფიზიტი, არც მონოფიზიტი ამ ტერმინების ჩვეულებრივი მნიშვნელობით' [10:132].

ასურელ მოღვაწეთა ეთნიკურ ქართველებად მიჩნევის თანადროულად შ. ნუცუბიძემ მათ შორის ერთი სომეხი მოღვაწეც კი ივარაუდა. თავისი დროის სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწის, პეტრე იბერის ეროვნული წარმომავლობის მიჩქმალვის სომხური ტექსტებისათვის დამახასიათებელ მცდელობას მან ორიგინალური ახსნა მოუძებნა: დაუკავშირა რა ეს ტენდენცია სომეხ ფილოსოფოსს ღავით ანჰადოსს (უძღვევლს), როგორც პეტრე იბერის უმცროს თანამედროვესა და თანამოაზრეს, წამოჭრა საკითხი – ხომ არ წარმოადგენდა სომეხი ფილოსოფოსი მე-14 ასურელ მამას [16:44; 10:173]? სხვაგან იგივე მოსაზრებას მეტი კატეგორიულობითაც გამოხატავს: ღავით უძღვევლი 'ყველა მონაცემის მიხედვით, სირიაში ქართულ სკოლასთან იყო დაკავშირებული, ხოლო შემდეგ 'სირიელი მამების' კვალს გამოჰყვა საქართველოში' –ო [10:134-135].

უფრო შორს წავიდა ლ. მელიქსეთ-ბეგი. მან აიტაცა რა მემოაღნიშნული მოსაზრება, ღავით უძღვევლი ერთ-ერთ ასურელ მამასთან, ღავით გარეჯელთან გააგივა. ლ. მელიქსეთ-ბეგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ 'ღავით გარეჯელის ბიოგრაფიის

მრავალი დეტალი აღბეჭდილია მონოფიზიტიზმისა და სომხურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის ნიშნებით“. ქალკედონიანთაგან დევნილი მამა ღავითიც სომხეთში იმიტომ შეჩერებულა ხანგრძლივი დროით, რადგან იქ ზელსაყრელი პირობები იყო შექმნილი მონოფიზიტების სამოღვაწეოდ მთელი VI საუკუნის მანძილზე“ [7:230; 212]. ასურელ მამათა ეროვნების საკითხი მას შემდეგნაირად წარმოუდგენია: ‘ე. წ. ‘სირიელი’ მოღვაწეები თუ მართლაც სირიელები არ იყვნენ, საფიქრებელია, რომ ყველანი არც ქართველები ყოფილიყვნენ, არამედ – ზოგი ქართველი, ზოგი კი მემობელ ხალხთა შვილები (პერ-ალბანელები, სომხები, ბერძნები, სირიელებიც კი)“. თუმცა, ‘სომეხთა ფილოსოფოსს“ იგი ქართული წარმომავლობის პირად – ‘პერ-კახელად“ სახაავს. ამას აფიქრებინებს ანჰადთის გელწოდება – პერტანელი, რაშიც ეთნიკურ ტერმინ პერს ხელაფს და XIX ს-ში ჩაწერილი სომხური გადმოცემა, სადაც მოიპოვება მითითება ღავით უძლეველის კახური წარმოშობის შესახებ [7:210-231].

ლ. მელიქსეთ-ბეგის ზემოაღნიშნული მოსაზრება თავის მხრივ უყურადღებოდ არ დაუტოვებია შ. ნუცუბიძეს. მან უკიდურესობა უწოდა მცდელობას, ‘ღავით უძლეველის პოზიცია იმდენად მჭიდროდ დაუკავშიროს ‘სირიელ მამებს“, რომ მასში ქართველი მოღვაწე – ღავით გარეჯელი – დაინახოს“ [10:135].

ამ ორი ცნობილი მოღვაწის იგივეობის თვალსაზრისზე ლ. მელიქსეთ-ბეგის აგებული ჰიპოთეზა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ღავით პერტანელ-გარეჯელი, იგივე უძლეველი (ანჰადთი), აღმსარებლობით მონოფიზიტი, ‘სომეხთა ფილოსოფოსი“, წარმოშობით პერეთ-კახეთიდან, ახალგაზრდობისას ალექსანდრიაში იყო მივლინებული განათლების მისაღებად. ქრისტოლოგიური დავებისას, არისტოტელური მაგერიალისტური ფილოსოფიური კონცეფციის გამო იგი სხვა თანამოაზრებებთან ერთად გამოძევებულ იქნა ალექსანდრიიდან. სირიის გავლით (სირიაში მონოფიზიტობის გამო შეიძლებოდა განეცადა დევნა) იგი სომხეთში ბრუნდება, მაგრამ აქ ის მისი იდეების გამო ცუდად მიიღეს. შეურაცხყოფილი ფილოსოფოსი ქართლში გადაიხვეწება და თბილისში მკვიდრდება. იგი აქაც ვერ ასცდა კონფლიქტს (დაპირისპირება თბილისში მყოფ მოგვებთან) და აქედანაც განდევნილი საბოლოოდ გარეჯის მრავალმთას მიაშურებს. უდაბნოში დაყუდებული ღავით ანჰადთი, იგივე ღავით გარეჯელი, საბოლოოდ აქვე აღესრულება [7:197-231].

ღავით გარეჯელისა და ღავით უძლეველის იგივეობის დასასაბუთებლად ავტორი არაერთ სამტკიცს იშველიებს.

მიუხედავად ამისა, ეს თვალსაზრისი, ჩვენის აზრით, დამაჯერებლობით მაინც ვერ დაიკვეხნის. მეტი სიცხადისათვის, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, სათითაოდ გავარჩიოთ ლ. მელიქსეთ-ბეგის თითოეული არგუმენტი.

1. ღავით გარეჯელს 'შეძლო სირიიდან პირდაპირ ქართლში კი არ წამოსულიყო, არამედ რამდენიმე ხნით გაჩერებულიყო სომხეთში და იქ ემოქმედა, რამდენადაც იქ, სომხეთში, ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი მონოფიზიტების სამოღვაწეოდ...' [7:213-214].

ღავით გარეჯელის სომხეთში ცხოვრება-მოღვაწეობა არც ერთი მონაცემით არ დასტურდება. ეს ისტორია ავტორის შეთხზულია საკუთარი აზრისათვის დამაჯერებლობის შესაძენად. ის რომ წმ. ღავითს შეძლო სომხეთში გამოეყო და იქ ამდენი ხნით შეყოვნებულიყო, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეც მოიქცა. გარეჯელი მამის სომხეთში წლობით 'დაყოვნება' მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა და არა არგუმენტი. შესაბამისად, იგი თვით საჭიროებს დასაბუთებას.

რომც დავუშვათ, რომ ღავით გარეჯელი ქართველი მონოფიზიტი იყო, ეს ვერანაირად ვერ ხსნის, რატომ შეჩერდებოდა სამშობლოში მომავალი ღავითი სომხეთში, თანაც ასე ხანგრძლივი დროით. ამ დროს, ქართველ-სომეხთა ცნობილ საეკლესიო განხეთქილებამდე, თავად იმავე ავტორის მოსაზრებით, ქართლიც ხომ მონოფიზიტი იყო და სირიიდან აღმსარებლობის გამო დევნილი ქართველებიც განა ამ ხელსაყრელი სამოღვაწეო პირობების გამო არ ბრუნდებიან სამშობლოში?

2. ღავით გარეჯელი მოღვაწეობის ხანა ქრონოლოგიურად ემთხვევა ღავით უძლეველი მოღვაწეობის ხანას.

სინამდვილეში არავითარი ქრონოლოგიური დამთხვევა არ არსებობს. ფაქტიურად, ღავით გარეჯელი თავის მოღვაწეობას მაშინ იწყებს, როცა ღავით უძლეველი ძირითადად უკვე ამთავრებს [11:161]. ამიტომ არის, რომ ლ. მელიქსეთ-ბეგი ღავით გარეჯელის მოღვაწეობის ქრონოლოგიასაც თავის ნებაზე ცვლის, რათა იგი ღავით უძლეველის მოღვაწეობის ხანას მოარგოს. კერძოდ, მისი თქმით, 519 წელს სირიიდან გამოდევნილ ღავით გარეჯელს 'შეძლო პირდაპირ ქართლში კი არ წამოსულიყო, არამედ რამდენიმე ხნით გაჩერებულიყო სომხეთში და იქ ემოქმედა' [7:211-212]. ეს 'რამდენიმე ხანი' 545 წლამდე გაგრძელებულა. ამ წელს კი ანტონ მარტყოფელი უნდა წამოსულიყო ქართლში. 'მაშასადამე, თუ ეს გამოანგარიშება სწორია, ანტონ მარტყოფელს 520-545 წწ. სირიის ჩრდილოეთით და ქართლის სამხრეთით მდებარე მხარეში, ე. ი.

სომხეთში უნდა გაეგარებინა“, – ასკენის ლ. მელიქსეთ-ბეგი [7:214-215].

ცხადია, სწორედ რომ ღავით გარეჯელისა და ღავით უკლაველის მოღვაწეობის ძირითადი ეტაპების ქრონოლოგიური შეუსაბამობების “შესწორების“ მიზნით “შეაყოვნა“ მამა ღავით სომხეთში 25 წლით და მეტი დამაჯერებლობისათვის სხვა ასურელ მამასთან, ანტონ მარტყოფელთან ერთად ‘ჩამოიყვანა“ საქართველოში 545 წელს.

ამას გარდა, როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, ღავით გარეჯელი არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა მამებთან ერთად მოდის ქართლში იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით 535 წლისათვის [8:78; 81-84].

3. *‘ანტონ მარტყოფელს 520-545 წწ. სირიის ჩრდილოეთით და ქართლის სამხრეთით მდებარე მხარეში, ე. ი. სომხეთში უნდა გაეგარებინა“* [7:214-215].

ამის მაჩვენებლად მამა ანტონის ‘ცხოვრებიდან“ მოყვანილი ამონარიდი დამახინჯებულად და ერთობ მცდარი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი: ‘მაშინ წმიდამან ამან ანტონიმ იძია მოძღურისა თუსისა გზა..., რამეთუ წარვიდა სომხითს, ჩრდილოეთით კერძო...“ ანუ ანტონი თითქოს წამოსულა სომხეთში, ჩრდილოეთის მიმართულებით. წყაროს არასწორ გაგებას ცხადყოფს შემდეგი გარემოებანი:

ა) პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ‘სომხითს“ ქართული წყაროები ხშირად ქვემო ქართლის აღსანიშნავად ხმარობენ და არაა აუცილებელი მასში მეზობელი ქვეყანა დაეინახოთ;

ბ) ასეც რომ არ იყოს, საბინინის გამოცემაში, რომელსაც იმოწმებს ავტორი, სწერია: ‘წარვიდა სომხითის ჩრდილოეთით კერძო“ (და არა ‘სომხითს, ჩრდილოეთით კერძო“), ე. ი. სომხითის ჩრდილოეთით და არა სომხითში;

გ) ‘წარვიდა სომხითის ჩრდილოეთით კერძო“ ეხება არა თავად ანტონ მარტყოფელს, არამედ მის მოძღვარს, იოანეს თავის მოწაფეებითურთ. როცა ანტონმა ‘იძია მოძღურისა თუსისა გზა და ისწავა ჭეშმარიტი და ცნა რამეთუ წარვიდა სომხითის ჩრდილოეთით კერძო, სხუათა თანა მოწაფეთა, რომელთა აწ მოვიხსენნეთ, ღავით და ღოღო და შიო ანტიოქიელი და რვანი სხუანი მოწაფენი იოანესნი, ერთისა საზღურისანი.“ სხვა სიტყვებით, ედესაში წმ. ანტონს გამოუკითხავს თავისი მოძღვრის, იოანეს გამგზავრების მიმართულება და გაურკვევია, რომ იგი თავის მოწაფეებთან ერთად სომხეთის ჩრდილოეთით წასულა. ლ.

მელიქსეთ-ბეგისეული ვერსიით კი (ავტორისდა უნებურად) გამოდის, რომ ყველა ეს მამანი ქართლის ნაცვლად სომხეთში მოდიან, რაც თავისთავად აბსურდია;

ღ) თვით მამა ანტონი კი ხელთუქმნელი ხაგით ხელში ქართლში მობრძანდება არა სომხეთში მოღვაწეობის შემდეგ, როგორი შთაბეჭდილების შექმნაც სურს მოსამრების ავტორს, არამედ უშუალოდ ქალაქ ედესიდან მას მერე, რაც იოანეს ამბის შეტყობის შემდეგ, მოძღვრისადმი ‘ტრფიალებით აღძრული’, თან სასწაულთმოქმედ ხატს საიდუმლოდ გამოარიდებს ნესტორიანთა მიერ დაუფლებულ ედესის ეკლესიიდან და დანარჩენ ასურელ მამათა მიერ განვლილ გზას დაადგება: ‘...ესე ცნა წმინდამან ანტონი, აღიდრა ტრფიალებითა მოძღურისა თჳსისათა და და ესეცა ეძვინებოდა გულსა თჳსსა, რომელ ნესტორიანთა ეკლესიასა შინა იყუნეს საუფლონი იგი ხატნი და აღიყუანა კეცი რომელ საფარუშლად მის ხატისა ყოფილ იყო და ხატი ქმნულ იყო. ესე უჩინრად წარმოიღო, წინა ძღომითა ანგელოზისათა და უწყებითა ზეციერთა ჩრდილოეთს და მიიწია მტკუარსა ზედა, განვლო იგი და ღემეკუდრა აღმოსავალით, ვითარ ოთხ მილიონ, ნაპრაღსა კლდისასა, შინაგან მათათა აკრიანთა’ [13:294-295].

ე) რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლ. მელიქსეთ-ბეგს ეგყობა გამოეპარა მამა ანტონის ქართლში მოსვლის წყაროსეული ცნობის ქრონოლოგიური ქვაკუთხედის არსი. კერძოდ, თუკი ანტონ მარტყოფელი ედესიდან მხოლოდ 544 წლის ალყის შემდეგ მოემართება და ამ დრომდე ედესაში იმყოფება, როგორღა დატოვებდა ქალაქს 25 წლით ადრე, 519-520 წლებში, ან როგორ იმოღვაწებდა ამ ხნის მანძილზე სომხეთში? მხოლოდ ამ კითხვის დასმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ცხადი გახდეს: ანტონ მარტყოფელის ქართლში მოსვლა 545 წელს არათუ დასტურია იმისა, რომ მას 520-545 წწ. სომხეთში უნდა გაეტარებინა, არამედ პირიქით, ყოვლად გაუმართლებელს ხდის ამას.

4. *‘ღავით გარეჯელის ბიოგრაფიის მრავალი დეტალი აღბეჭდილია მონოფიზიტიზმისა და სომხურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის ნიშნებით’* [7:230].

ასურელი მამების და მათ შორის ღავით გარეჯელის აღმსარებლობის საკითხი საკმარისად ვრცლად გვაქვს განხილული, სადაც საზგასმითაა აღნიშნული მათი მონოფიზიტებად მიჩნევის უსაფუძვლობა [8:155-158]. გავიმეორებთ მხოლოდ, რომ მამა ღავითი, ისევე როგორც ზოგადად ერთობით ყველა ასურელი მამა, ყველა მონაცემით, მტკიცე ქალკედონიტია და ამაში ეჭვის შეტანის საფუძველს ვერ ვხედავთ. ღავით გარეჯელის მოღვაწეობის

“სომხურ პერიოდს“ არც ერთი წყარო არ იცნობს და ის, როგორც ითქვამს, მხოლოდ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. მამა ღავითის ბიოგრაფიაში არც “სომხურ სამყაროსთან კავშირი“ (მით უმეტეს, “მჭიდრო“) არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით მის სომხურ ენაზე მიმართვას რუსთაველი ბუბაქარისადმი, რის თაობაზეც მითითება მოგვეპოვება წმ. მამის ‘ცხოვრებაში“ [12:234; 14:277].

5. *“მამა-ღავითი ერთადერთი პირია “ზირიელ“ მოღვაწეთა შორის, რომელიც აღჭურვილია სომხური ენის ცოდნით“.*

ამ შემთხვევაში ავტორს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ერთი ეპიზოდი საკუთარი მოსაზრებიდან: ღავით გარეჯელთან ერთად ანტონ მარტყოფელსაც ქართლში მოსვლაზე, მისივე მტკიცებით, თავის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი – 520-545 წლები სომხეთში უნდა გაეგარებინა. ეს დრო კი სრულიად საკმარისი იქნებოდა მის მიერაც სომხური ენის დასაუფლებლად (ამ მოსაზრების უსაფუძვლობის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ).

ღავით გარეჯელი სომხურად პასუხებდასაც სხვადასხვა ახსნა შეიძლება მოეძებნოს, ისე რომ, აქედან გამომდინარე, მეტისმეტად “შორს მიმავალი“ დასკვნები არ გაკეთდეს. ასე მაგ.: მ. ბროსეს აზრით, “ღავითმა ბუბაქარს სომხურად მიმართა, რადგანაც იგი სომეხ ერეტიკოსად ჩათვალა“ და მისი მოქცევა გადაეწყვიტა [17:129]; დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, მამა ღავითის თანამოსაუბრე ეროვნებით სომეხი რუსთაველი დიდებული უნდა ყოფილიყო [9:83-84]; ეპ. ანანია ჯაფარიძეს ბუბაქარი ეროვნებით ქართველ მონოფიზიტად წარმოუდგენია, რომელიც სომხური ეკლესიისადმი თავის მიკუთვნების გამო დროთა განმავლობაში სომხურენოვნებისკენ მიიღრიალა [1:393] და ა. შ.¹ ყველაზე დამაჯერებლად კი შემდეგი ვარაუდი გამოიყურება: წმინდანის ‘ცხოვრების“ გემოაღნიშნული ეპიზოდი შთაბეჭდილებას გოვებს, თითქოს ტექსტში რაღაც გამოტოვებულია, რის გამოც სომხურად პასუხის შესახებ აღნიშვნა მკითხველისათვის გაუგებარი დარჩა. საეარაუდოა, ეს ‘რაღაც“ თხზულების თავდაპირველ ვერსიაში მთლიანობადა და ‘ცხოვრების“ ახალ რედაქციაში აღარ გადმოსულა [18:41].

6. *“ქართლ-კახეთის არცერთი ხაგი, არცერთი ეკლესია-მონასტერი არ სარგებლობდა სომეხთა შორის ისეთი პოპულარობით, როგორც გარეჯის მრავალმთა და მასში მღებარე მამა-ღავითის საფლავი“ [7:222].*

გარეჯის ღავრა არ ყოფილა სომეხთათვის “სამაგალითოდ“ და განსაკუთრებულად გამორჩეული ერთადერთი ქართული სიწმინდე. ჯერ კიდევ ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებამდე

¹ უფრო დაწვრილებით ეს საკითხი იხ. 8:174-176

ქრისტიანი სომხები უახლოეს მეზობელ და ერთმორწმუნე ქართველთა სალოცავებს ხშირად სტუმრობდნენ თავყვანის საცემად. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა, საეკლესიო განხეთქილების შემდეგ სომხთა კათალიკოსი აბრაამი ამ სალოცავებში სიარულს საგანგებოდ რომ უკრძალავს თავის მრევლს.

‘უდაბნო“-‘წამებულში“, სადაც სომხური წარწერები ნახა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, უამრავ ქართულ წარწერებს შორის მიაგნო და გადმოიღო ასევე 8 ბერძნული და 21 სპარსულ-თურქულ-არაბული წარწერაც [6:158]. მამსახადამე, ამ ადგილს მრავალეროვანი სტუმარი ჰყოლია და აქ სომხების პილიგრიმობაში უჩვეულო არაფერი ჩანს. ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ძველის-ძველი ტრადიცია: სამგზის გარეჯის უდაბნოს მოლოცვა ერთხელ იერუსალიმში პილიგრიმობის ტოლფასად რომ განიხილებოდა. გარეჯის სიწმიდეთა არაქართველ მომლოცველთა შორის სომეხთა შედარებითი სიჭარბეც ადვილი ასახსნელია (აღსანიშნავია, რომ მათგან უმეტესობა საქართველოს მაცხოვრებელია). ამრიგად, ამდენად მრავალენოვან წარწერათა შორის სომხურენოვანის არსებობის გამო გარეჯის უდაბნოს გამშენებლის ბიოგრაფიაში მაინცდამაინც სომხური კვალის ძიება მიზანშეწონილად არ გამოიყურება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ოციოდე სომხურ წარწერათაგან ექვსია 1352 წლის და თითქმის ყველგან ფიგურირებს ვინმე სარგისის სახელი. სავარაუდოდ, ყველა მათგანი ერთი ავტორის (ან ავტორთა ჯგუფის) მიერაა შესრულებული. ამას გარდა, 1467 წლის ორი სომხური წარწერის (სხვა სამ ქართულ წარწერასთან ერთად) ავტორიც ერთი პიროვნებაა – გფილელი სომეხი მწიგნობარი და კალიგრაფი, იოვანე ხუცესი [15:154-155]. საქართველოში მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის გათვალისწინებით, ეს ყოველივე ზოგადად სომხურ წარწერათა მრავალფეროვნების ხარისხს კიდევ უფრო ამცირებს [მდრ. 4:16]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავის დროზე სომეხთა შორის დიდი პატივისცემა თვით დავით უძლეველსაც არ მოუხევენაც. სამშობლოში დაბრუნებულმა მრავალი შეურაცხყოფა იწვნია, იგი უცემიათ კიდევ. საქართველოში მისი გადახვეწის მიზეზიც სომეხთაგან ასეთი დამოკიდებულება შექმნილა.²

7. *‘სომხები დავით გარეჯელის საფლავს სომეხთა უძლეველ ფილოსოფოსის“ საფლავად მიიჩნევენ, როგორც ეს ნათქვამია ერთ-ერთ იქაურ სომხურ წარწერაში“ [7:320].*

² ამის შესახებ მოგვითხრობს არაქელ სივნიელი თავის ‘სამღვართა წიგნში“.

როგორც თვით ლ. მელიქსეთ-ბეგი ადგენს, V-VIIIსს-ში სომხეთში რამდენიმე ღავით ფილოსოფოსი ყოფილა და ‘მედწოდება უქლეველი’ თანღათანობით ყველა ღავითზე გავრცელღა, როგორც სინონიმი მოაზროვნისა – სიბრძნისმეტყველისა“ [7:230; მღრ. 7:216]. მაშასადამე, ‘უქლეველი’ (‘ანჰალით’) სომხეთათვის აღნიშნული ეპოქის ყველა სიბრძნისმეტყველი ღავითის განმზოგადებელ ეპითეტად ქცეულია და არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ XIVსს-ის სომეხ პილიგრის ღავით გარეჯელისათვისაც ‘უქლეველი ფილოსოფოსი“ ეწოდებინა.

მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ თვით გარეჯის მრავალღმთის ერთ-ერთ გამოქვებულზე შესრულებულ ამ 1352 წლის სომხურ წარწერაში, ლ. მელიქსეთ-ბეგისავე პუბლიკაციის მიხედვით, იქ საღაც მოხენიებულია ‘უქლეველი ფილოსოფოსი“, არსაღა სჰანს სიგყვა “სომეხთა“ ღა არც ღავითის სხენებაა. ვინაიღან წარწერაში ‘უქლეველ ფილოსოფოსს“ წინ ‘იოვანე“ უქღვის, თავიღან მან ამ ‘უქლეველ ფილოსოფოსში“ სხვა სომეხი მოღვაწე – იოანე ოძუნელი იგულისხმა [6:167].

8. *ღავით გარეჯელი ძირითაღად განსხვავებღა ე. წ. ‘სირიელ“ ყველა ღანარჰენ მოღვაწეთაგან იმით, რომ იგი მოაზროვნეღ, ფილოსოფიასთან ახლო მღგომი პირი, არისგოგელეს კონცეფციის მოზიარე, რომლის მეღწოდება ღა თვით მის მოწაფეთა სახელწოდებანიც ფილოსოფიური შინაარსისა არიან: ‘გარესჯა“–გარეთი ამროვნების გავებით, ხოლო ‘ლუკიანე“ ღა ‘ღოღო რქისა“ – არისგოგელიზმის ღეგალეღბის პერსონიფიკაციის შეღეგებღა“ [7:230].*

რით შეიღღება ღასაბუთღეს ღავით გარეჯელის არისგოგელეს კონცეფციასთან თანამოზიარეობა? ნუთუ მისი სიგყვებით: ‘ნუ ღავიც სასოებღა მღელოთა მიმართ ღა მცენარეთა ქუეყანისათა, ღა ვითარ არა უწყი, რამეთუ ყოველნი ნივთნი ქუეყნიერნი ცვალებად ღა წარმავალ არიან? ღა არა გასშია წმიღათა წერილთაგან, ვითარმღღ: ‘მოთმინებითა თქუენითა მოი პოვნეთ სულნი თქუენნი“...– როგორც გვარწმუნებს ლ. მელიქსეთ-ბეგი? წმ. მამის ამ ღარიგებაში – აღამიანმა თავისი სასოებღა წარმავალ მაგერიალურ სამყაროზე რომ არ უნღა ღააფუძნოს ღა მოთმინებით თვით ამ სამყაროს შემოქმედს უნღა მიენღოს, განა შეიღღება, არისგოგელეს იღეები ამოვიკითხოთ ღა ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი პოსტულატი არ შეგამჩნიოთ?

უცნაურია, ასკეტი მოღღვრის ამ ცხად ქრისტიანულ სწავლებღაში მართლმადიღებლობისათვის მიუღებელი ვითომღა ღავით გარეჯელის შექმნილი რაღაც ‘მოღღვრების წიგნის“ პასაჰი

წარმოვიდგინოთ, რომელი წიგნიც თითქოსდა ‘ქართლ-კახეთში ღიოფიმიტობის გამარჯვებისთანავე... მოუსპიათ“.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ როცა ღოღოს და ლუკიანეს სახელებს ‘არისტოტელიზმთან დაკავშირებული ცნებების პერსონიფიკაცია“ სახავს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ამ მოღვაწეთა საერთოდ არსებობასაც კი უარყოფს. თუ ეს სახელები ‘გამოგონილია საგნებისა და ცნებების პერსონიფიკაციის შედეგად“, საინტერესოა, ვის მიერაა გამოგონილი: ‘არისტოტელიკოსი“ დავით გარეჯელის თუ მისი ცხოვრების აღმწერლების? და რა გამოდის, მანამდე ეს სახელები (‘ღოღო“ ქართული წარმოშობისა ჩანს, ‘ლუკიანე“ ბერძნულია) არ ყოფილა ხმარებაში? (სხვათა შორის, გარკვეული აზრით, ნებისმიერი სახელი ზოგადად გამოგონილია და გარკვეულ შინაარსსაც გამოხატავს).

‘გარე-სჯა“ ამა სოფლის ორომტრიალისაგან გარეთ, მოშორებით დასჯაა ხორცისა სულიერი ამაღლებისათვის (‘...გარე ისჯებოდიან ხორცითა სულთა მათთა ცხონებისათვის“) და ‘ამისათვის ეწოდების უღაბნოსა ამას გარესჯა“. მაშინ, როცა არსებობს ასეთი პირდაპირი და ნათელი ახსნა, ვითომ საჭიროა გაურკვეველი ‘ფილოსოფიური სიღრმეების“ ძიება?

შემოდასმული კითხვებში, ვფიქრობ, ისედაც იკითხება შესაბამისი პასუხებიც და დამატებით განმარტებებს აღარ საჭიროებს.

9. *‘ძველი ქართველი მწერლები ასხვავედნენ მას (დავით გარეჯელს–დ.მ.) ყველა დანარჩენ ‘სირიელ“ მოღვაწეთაგან, რომლებსაც ასკეტებად თვლიან“ [7:225].*

დავით გარეჯელს, საქართველოში განდევნილობის უთვალსაზიროეს წარმომადგენლს, ასკეტიზმის ერთ-ერთი საფუძველჩამყრელს (იოანე ზედაზნელთან და შიო მღვიმელთან ერთად) და მის სიმბოლოს, ქართული სამწერლობო გრადიცია სხვა ასურელ მამათაგან განსხვავებით, ასკეტ მოღვაწედ რომ არ განიხილავდა, განა შეიძლება ჰქონდეს რაიმე საფუძველი? თუმცა ავტორმა ეს განცხადება დააფუძნა ანტონი I-ის მიერ წმ. დავითისადმი მიძღვნილ სტრიქონებზე:

‘ითეზბიტელე უღაბნოთა მამაო,...

ასაკებრივთა მიდმოქცევათა ბრძენო“ [3:175]

იმ აზრით, რომ ‘ითეზბიტელე“ ბერძნული სიტყვაა და წინასწარმეტყველებას აღნიშნავსო.

ამ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული მთავარი: ‘თეზბიტელი“ ბიბლიური ელია წინასწარმეტყველის ზედწოდებაა და ანტონ კათალიკოსიც ამ სიტყვას სწორედ ამ გაგებით იყენებს.

‘ითეზბიტელე უღაბნოთა მამაო,“ – მიმართავს იგი მამა ღავითს, ე. ი. იწინასწარმეტყველე ელია თეზბიტელის მსგავსადო [2:347; 386]. ელია თეზბიტელი კი ქრისტიანულ ლიტერატურაში ასკეტ-მეუღაბნოეთა წინასახედ განიხილება. ‘ფილოსოფოსობა“ აქ არაფერ შუაშია.

‘უღაბნოთა მამობა“ კი განსაკუთრებულ მეუღაბნოებით-ასკეტიკური ღვაწლის, მეუღაბნოებითი ცხოვრების დამწერგავობისა და წარმართველობის პირდაპირი გამოხატულებაა. წმ. მამისადმი მიძღვნილი სიტყვები: ‘ითეზბიტელე უღაბნოთა მამაო,“ სწორედ რომ ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნის საპირისპიროს მეტყველებს მხოლოდ.

ღავით უძლეველი და ღავით გარეჯელი საკმაოდ განსხვავებული ტიპის მოღვაწენი ჩანან. ამიგომაც წერს მათ შესახებ რ. სირაძე: ‘ესენი იყენენ თავისი ეპოქის ორი სრულიად განსხვავებული გენდენციის გამოხატველი პიროვნებანი: ერთი – ანტიკური ტრადიციების დამცველი ახალ დროში, ხოლო მეორე – ახალი, ქრისტიანული მსოფლშეგრძნების მაქსიმალისტურ ფორმათა გამომხატველი“, რომელთა იდენტიფიკაცია არ დასტურდება ‘არც ისტორიული, არც მსოფლმხედველობრივი და არც ტერმინოლოგიური მონაცემებით“ [11:163].

მიუხედავად იმისა, რომ ლ. მელიქსეთ-ბეგის დებულებათა უკლებლივ ყველა ასპექტს წინამდებარე წერილში სათანადოდ არ შევხებივართ, შეგვიძლია თავისუფლად განვაცხადოთ: სახელგანთქმული ასურელი მოღვაწის, ასკეტი ბერისა და გარეჯის უღაბნოს განმაშენებლის – ღავით გარეჯელისა ერთი მხრივ, და ალექსანრიიდან სომხეთში დაბრუნებული ცნობილი ‘სომეხთა ფილოსოფოსის“, ღავით უძლეველად (ანჰალთ) წოდებულის მეორე მხრივ, ერთიდაიგივე პიროვნებად დასახვა მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და ხშირ შემთხვევაში ფაქტების მცდარ გაგებაზეა დაფუძნებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ეპ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბ. 1996.
2. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიგევაობა, ივ. ლოლაშვილის რედ. თბ. 1980.
3. ანტონ კათალიკოსი, წყობილსიგევაობა, თბ. 1853.
4. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვ. I, გამოსაცემად მოამზადეს ლ. კლდიაშვილმა და ზ. სხირგლაძემ, თბ. 1999.
5. კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926.
6. ლ. მელიქეთ-ბეგი, გარეჯის მრავალმთის სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა, ენიშკის მოამბე, V-VI, 1940.
7. ლ. მელიქეთ-ბეგი, დავით უძლეველი და დავით გარეჯელი, თბ. 1959.
8. დ. მერკვილაძე, ასურელი მამები (VI ს-ის სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში) წ. I, თბ. 2006.
9. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძეგლი ისტორია, თბ. 1997.
10. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ. 1956.
11. რ. სირაძე, დავით ანჰალთი და 'ამრის სილამაზის' პრობლემა, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ. 1987.
12. ცხოვრება და მოქალაქობა დავით გარეჯელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედ., თბ. 1963.
13. ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა ანტონ მარტომყოფელისა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს-პეტ. 1882.
14. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა დავით გარეჯელისა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს-პეტ. 1882.
15. თ. ჯოჯუა, გარეჯის უღაბნოს მონასტრის 1467 წლის ქართული და სომხური წარწერების ავტორის იდენტიფიკაციისათვის, ნალექცა ბერიცა, I, თ. ჯოჯუას და ლ. მირიანაშვილის რედ. თბ. 2001.
16. III. Нуцубидзе, Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Тб. 1942.
17. M. Brosset, Additions et éclaircissements a l'histoire de la Georgie, VI, St. P. 1851.
18. M. Chkhartishvili, Non-native Ecclesiastics of Georgian Church: St. David from Gareji, "მესხეთი", IV, 2001.

დავიდ გარეჯელი და დავიდ ნეპობედიმი
 Резюме

В представляемой исследовании рассмотрена версия Л. Меликсет-Бега об идентичности одного из Тринадцати Сирийских Отцов - Давида Гареджели и армянского философа - Давида Непобедимого (Анагта).

В статье по пунктам критический рассматриваются аргументы привозаемые пользу названной гипотезы. После детального анализа этой проблемы, резко отрицается правомерность идентичности этих двух разных деятелей VI века.

David Garejeli and David Invincible
 Summary

In the present research is discussed L. Melikset-Beg's version about identity one of the Thirteen Assyrian Fathers - David Garejeli and Armenian philosopher - David Invincible (Anhagt).

In the article are critically reviewed all the pro-identity arguments point by point. After detail analyze of the problem, expediency of the identification of this different persons of the VI century is sharply rejected.